

კითხვის მოტივაციის ამაღლების მეთოდები, როგორც მოსწავლეთა  
წიგნიერების განვითარების საშუალება

ეკატერინე ურიადმოფელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის  
მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის  
საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ტალიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს კითხვის, როგორც წიგნიერების განვითარებასთან დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევას. კვლევის მიზანია დაადგინოს კითხვის მოტივაციის მნიშვნელობა მოსწავლეთა წიგნიერების განვითარებაში. ამასთან, განსაზღვროს მასწავლებლის როლი ამ პროცესში. კვლევის ძირითადი კითხვებია:

1. რა იციან პედაგოგებმა კითხვის მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებსა და აქტივობებში კითხვამდე ეტაპზე?
2. რა მეთოდებსა და აქტივობებს იყენებენ პედაგოგები კითხვის მოტივაციის ამაღლების მიზნით კითხვამდე ეტაპზე;
3. როგორ აფასებენ პედაგოგები მათ მიერ გამოყენებული აქტივობების ეფექტურობას;
4. რა პრობლემები იქმნება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე კითხვამდე ეტაპზე;
5. რამდენად ეფექტურია პედაგოგების მიერ გამოყენებული მეთოდები და აქტივობები წიგნიერების განვითარების თვალსაზრისით;

ისევე, როგორც სხვა მრავალი კვლევის შემთხვევაში, აღნიშნულ კვლევას ჰქონდა პოტენციური შეზღუდვები/რისკები: შერჩევის არასრულყოფილი ჩარჩო, დროში შეზღუდულობა, სოციალურად მისაღები შედეგების ჩვენების სურველი პედაგოგთა მხრიდან, გაკვეთილებზე დაკვირვებით გამოწვეული დამაბულობა;

მონაცემები დამუშავდა თეორიულად, რამდენადაც ჩატარდა თვისებრივი კვლევა ორ ეტაპად-სიღრმისეული ინტერვიუ და დაკვირვება, რათა მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო რეალურ სურათს მიღებული შედეგები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

- პედაგოგები დადებითად აფასებენ, მოსწავლეთა კითხვის მოტივაციის გაზრდის მიზნით, გამოყენებულ აქტივობებს;
- მასწავლებლები ცდილობენ თავის წარმოჩენას, რაც იწვევს მათგან სოციალურად მისაღები პასუხების მიღებას;
- პედაგოგები კითხვამდე ეტაპზე განსახორციელებელი აქტივობების გვერდის ავლით იწყებენ ტექსტის ანალიზს;

- პედაგოგები ასახელებენ მეთოდებს, რომლებიც მიზანშეწონილია კითხვამდე ეტაპზე მოსწავლეთა კითხვის მოტივაციის გასაზრდელად, მაგრამ არასრულყოფილად ახორციელებენ მას გაკვეთილზე;
- პედაგოგები არ ცდილობენ „კითხვამდე ეტაპზე“ მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებას, რაც იწვევს მოსწავლეთა კითხვის მოტივაციის კლებას;
- პედაგოგები „კითხვამდე ეტაპზე“ თავად არიან აქტიურები;
- პედაგოგები სრულყოფილად ვერ იაზრებენ „კითხვამდე ეტაპის“ მნიშვნელობას მოსწავლეთა მიერ ტექსტის გააზრებისთვის;
- მასწავლებლის მიერ მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება ამაღლებს მოსწავლის კითხვის მოტივაციას;
- კითხვის მოტივაცია დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის წიგნიერების ზრდაზე;

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფისა და კრიტიკული შენიშვნებისათვის, ასევე, ნაშრომის წერის პროცესში მოწოდებული მასალებისთვის მადლობას ვუხდით ჩემი თემის ხელმძღვანელს, პროფესორ თამარ ტალიაშვილს.

ასევე, მადლიერება მინდა გამოვხატო კვლევის ხელმძღვანელის, ნათია ანდლულაძის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ) და ყველა იმ მასწავლებლის მიმართ, რომლებიც დამეხმარენ კვლევის ჩატარებაში.